№2176 2013 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოუყოს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი ოპტიკური ხაზისა და მის შესაერთებლად საჭირო აპარატურის შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით.

2. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი გაზარდოს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარით და აღნიშნული თანხით შეამციროს „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგარეო სახელმწიფო

ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**